


1369/14-114



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის (პლენანოვის)

გამზირის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების გაზეთი

საგვთოეზი

№6(18) ✦ ივნისი

1999 წელი

ფასი 50 თეთრი

ჯვარი ვანისა
ქართულ ეკლესიისთვის
გამეჭებული
ღვთისმშობლის
მადლია.

1 ივნისი


ქართულთა
განმანათლებლის
წმინდა ნინოს
შემობრძანების

ღღუა



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრობა



3

ისტორია


მეგობრობა



3

ისტორია

აკრობატული
ეპიკური



4

მწერალი



ინტერვიუ
გამგაბაელთან

5

შტრიხი

წმინდე ნინო

ივლისის თვე იყო. წმ. ნინო მოვიდა ჯვარების და ფარავნის ტბის პირათ ქართლის მწყემსები ნახა. მათ უთხრეს ჩვენ ვართ მცხოვრებნი დიდი მცხეთის ქალაქისა, სადაც მეფენი მეფობენ და ღმერთები მთავრობენო. წმიდა ნინოს გულში აღეძრა სურვილი ამ წარმართი ხალხის და მეფის სახლობის მონათვლისა. მას დიდი სასოება ჰქონდა ქრისტეს კვართისა, რომელიც, გადმოცემით იცოდა რომ, ინახებოდა ამ წარმართ ქვეყანაში. მცხეთას მაშინ ჩავიდა, როცა არმაზის დღესასწაულობა იყო დაწყებული და თავის თვალთ იხილა არმაზის ოქროს კერპი გორაზე. წმ. ნინო ქალაქის ალაუნის გარეთ დაბინადა და იქვე ახლოს ვარდის ბუჩქებში ჩუმად ლოცულობდა ქართლის ხალხის მოქცევისათვის. ასე დაჰყო 3 წელი. ხალხში ხმა გავარდა, რომ ლოცვითა და ხელის შეხებით არჩენდა სნეულთ.

წმ. ნინოს მოსვლის მეოთხე წელს

ავად გახდა დედოფალი ნანა და სიხოვა ნინოს სახლში მოსვლა. წმ. ნინომ ლოცვითა და კურთხევით განკურნა დედოფალი. მეფე და დედოფალმა დიდძალი ოქრო-ვერცხლი შეამოღეს მას, მაგრამ ნინომ სიხოვა სამეფოს ეზოში კვლესია აუვით ქრისტეს სახელობისა. მეფე მირიანი ასეც მოიქცა.

წმ. ნინო წავიდა ხევში, ფშავეხესურეთში, თუშეთში და იქადაგა ქრისტიანობა. მერე გადმოვიდა კახეთსა და ბოდბესა. იავადმყოფა და ბოდბეში დაიფლა 14 იანვარს 338 წელსა ქრისტეს აქეთ.

1895 წ. 15 იანვარი (№24).

წმიდე ნინოს ტრონი

სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ.



დედაი ნინო

კაბადოციელთ ნაზო ასულო, პონტიელთ მოდგმის, წმიდაო დედაე, ერისთვის ზრუნვის, ამავის ნიშნად, მე, მცირე სიტყვით, ხოტბასა გებედაე: რა ტვირთიც ზიდა, შენ ქალურ მხრებმა, ვერ მოდრეკს მხოლოდ კლდესა და ქვასა, ფეხშეული ტვირთი რაც მოატარე, იერუსალიმ-ურბნისის გზასა. დღესაც გვაკვირვებს, ტვირთის სიმძიმე, რა ხეაშია დიდ გეკიდა გულსა, არსობის წყაროდ რომ სჭირდებოდა, ივერეთთა ამავსა სულსა. მკერდზე ჯვარით და უხამლო ფეხით, ოღეს შეეხე ივერთა მიწას, მას შემდეგ ქართულს და საქართველოს, ვაზის ჯვარი და კურთხევა იცავს. შენ ამოთარჯე პირველი ჯვარცმა, აყავის ჯიმის მაღლიან ხეზე, და უფლის მაღლი, პირველად მამულს,


არმაზს აკმე დღის სინათლებზე. დალალით შეწულ ვაზისჯვრით, ნინო, შენ „მოაქციე“ ივერთა რჯული, მით გამოსტაცე კერპთავეანებას და განანათლე ქართული სული. ვეავეილ-ბალახთა მესაიდუმლვე, სულით უმანყო და ტანად ალვა. შენ ჩაუკირე ერის ბალავარს იესო ქრისტეს მცნებათა სწავლა. შენმა რულუნმა პპოვა ნაყოფი, ერს აღემართა მცველად და ფარად, ენა, მამული და ქრისტეს მცნება, შეადულაბა ქვეთერის დარად. შენ ხომ, განგებით შემოდი ჩვენთან, სულიწმიდის და იესოს ქნარად, ბევრი ეწამე ჩვენს ტანჯულ მიწას და განსვენებაც, აქ კპოვე მარად.

12.05.1999 წელი
თეიმურაზ ლალაშვილი (თეიმანი)


სახენოებმა
ნახმოსდებმა
ხომაც
ღვთაებმა
იენონადან,
ხომელის
იყმ
ნაყოფიეების
ქაღმეხით.



ივლისის (თიბათვი) სახელობითი რომაული მითოლოგიის მიხედვით დაცვაშირებულის ნაყოფიერების ქალომერით იუნონას სახელობით იქნისო მამუა და მამუა მამუა



ვაკა სალუქვაძე



გიორგი ამაშუკელი



მერაბ ბერძენიძე



ნანი ბერიძე



მინელი ჯელიძე

თითოეული მათგანი არის ქართველი ერის სესიქედელო შვიდი. თვეისი სუფიერი შემდრთებით, შესწინიშვი შემოქმედებით და დიდი ერთგულებით ემსახურებიან ქართველ ერს. გარდა ამისა, სამეგელით მოქედენი ბრძენებინ, რომლებიც უმჯრედე და თვედექსოგვედე, როგორც ნიჭიერ დედმინს სხვევი, ქმნიან არჩვეულებრივ სამყაროს, სადეცე უტოდედე მქმნთ თანემი. ჩვენ კი რე დეგვრჩენი მდელობის ნიშნდე ვქდეწთ გულოთ ნათქვამი თრიოფ სიტყვა: გილოტვეთ, გილოტვეთ!

ვილოცვა „არტოს“ — გაღიან თაშისუშა სამაჩთშელონ გაშუშუპს!

1 ივლისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ვისურვებთ ბედნიერ ბავშვობას და არჩეულებრივ მომავალს — დიდების გამეობა და მეფეთუბნის ტრადიციათა აღორძინების სასოვადოება. დღეს, დღევანდელი სახეიმო განწყობილება დარჩეს თქვენი საუალი ცხოვრების ვზის მანათობელ ვარსკვლავად. თვითონ ბავშვობა ლამაზი წლებია და, თუ დღევანდელი ხეიმი დარჩება ვასანსენებელ დღედ, მაშინ ხვენი ხანაფიქრი და ძალისხმევა იქნება მიზანსწრაფულად სასიამოვნო, რამეთუ დღეს 1999 წლის 1 ივლისი ხაითვლება „არტოს“ — ბავშვთა კულტურისა და დასვენების ბალის კვლავ აღორძინების დღედ.



ღვთისა ეკლესიით და ეკეპლესიით.
ქილი-ქ.

არტოს ბაღის ვეცდინები



ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი

საქართველოს



აბაქი კვანტალიანი

საქართველოს სახალხო არტი-სტი დოდო აბაშიძე 17 წლით უმცროსი იყო ცნობილ ქართველ მსახიობზე, კომიკური ჟანრის ბრწყინვალე აქტიორზე - კაკო კვანტალიანზე, მაგრამ ასაკობრივი სხვაობა ხელს არ უშლიდა მათ უანგარო, ნაღდ მეგობრობაში, რადგან ორივემ კარგად იცოდა მეგობრობის ფასი და ყადრი. კაკოს სიყვარულის გამო დოდოს ყველა



აბაქი კვანტალიანი ბავშვში

კვანტალიანი ვუყვარდით და პატივს გვცემდა. არ ყოფილა ერთი შემთხვევა, რომ დოდოს შეხვედრის დროს დიდი ყურადღება არ მოექცია ჩვენთვის. ჩვენი შეხვედრები იწყებოდა გულში ჩასუტებით და მთავრდებოდა კაკოს ყველა ნაწიერის ცალ-ცალკე მოკითხვით.


დოდო აბაშიძეს წელს, 1 მაისს 75 წელი შეუსრულდებოდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (1990 წელს გარდაიცვალა) ტელევიზიაში მიწვეულმა, უკმა კმაოდ ცნობილმა და პოპულარულმა მსახიობმა დოდო აბაშიძემ, შურნალისტთან ინტერვიუში გაიხსენა თავისი წარსული, მეგობრები, კოლეგები, განსაკუთრებული სიყვარული და სიბოთი ილაპარაკა უფროს მეგობართან - კაკო კვანტალიანთან გატარებულ წლებზე, მის დიდი ერუდიციამ და განათლებამ, ისიც აღინიშნა, რომ არ მეგულებოდა ყველა დროის ქართველი მსახიობი კაკოზე მეტი ნაკითხი, მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მცოდნე, მოქალაქე, პიროვნება.

დოდო აბაშიძე დაიბადა და გაიზარდა ვერაზე, სადაც მისმა თავისი მშობლებმა და მეგობრებმა დიდი ძალისხმევით დაიწყეს მისი აღზრდა. მამამ მისი აღზრდა დაიწყო და მისი აღზრდა დაიწყო. მამამ მისი აღზრდა დაიწყო და მისი აღზრდა დაიწყო.

ანი 115-ში, ძმებს ერთმანეთთან 113 ნომერში განთავსებული მილიცია ჰყოფდა. ერთ შაბათ დღეს ჩვენთან დარეკა ტელეფონმა, კაკო კვანტალიანი იყო, მამა მოკლედ პასუხობდა უფროს ძმას და ემშაურა რად იღიმებოდა, თვალებით რადაცას მანიშნებდა, დაამთავრა საუბარი, მამამ დაკვირვებით და მითხრა: „...ბიძაშენმა დარეკა, ეს

მიღებით და თავის დაბლა დახრით, მე კი ჩამოცნეს და გულში ჩამიკრეს სათითოდ. „ჯემალი - მეუბნება დოდო, - შენ ისტორიული შეხვედრის მოწმე გახდები, დღეს დაემსობა ბიძაშენის ჩემპიონობა, მისი პეგემონია - ჭამა-სმაში,

იმოქმედა „სპორტსმენებზე“ და ოდნავ დაღლა დაეტყო. სისწრაფეც დაეარგეს, გაჩნდა ტექნიკური წინიცი, რაც გადაყრილ ძვლებზე დიდი რაოდენობით გაყოლებული ხორციით გამოიხატა. რა თქმა უნდა, პირუთენელმა „მსაჯებმა“ უმალ შევნიშნეთ წესების დარღვევა და მონაწილეებს ყვითელი ბარათი ვაჩვენეთ, ვაიძულეთ ძვლებს გატანებული ხორცი ბოლომდე გაესუფთავებინათ,



დოდო აბაშიძე

ცნეს ერთმანეთი და წავედით სახლებში.

სახლში ახალი შემოსულები ვიყავით, როდესაც ტელეფონმა დარეკა, კაკოს მეუღლე მაია ბიცოლა იყო, სიცოცხლე იყავებოდა. „დოდოს დედამ, ქალბატონმა ნინამ დარეკა ახლა და მეუბნება, სახლში მისული დოდო ცუდად გამხდარა და სასწრაფო დახმარების ექიმებს უშველიათ, კუჭი ამოურეცხიათ, ნემსები, ჟანგბადის ბალიშები გამოუყენებიათ. გონზე მოსულ დოდოს დედასთვის უთხოვია, „ერთი დარეკე კაკოსთან, როგორ არისო, მე, ასეთი ჯანმა-



გარი ახალგაზრდა კაცი ასეთ დღეში ჩავვარდი, ის ბებერი „ვეშაპი“ მუცელს სომ არ გადაყვავა“. ბიცოლანამეს უთქვამს:

„კაკოსთან ნაცნობები მოვიდნენ და ქორწილში წაიყვანეს თამადად“-ო, ამის გამგონე დოდო გარდაეცა, ლოგინში ვეღარ დააკავეს, „მატყუილებნო“ - იყვირა და ტანზე სასწრაფოდ ჩაუცვია, რამდენიმე წამში კაკოსთან მისულა სახლში. „არა მჯერა“, „არა მჯერა“ - ბრდღვინავდა დოდო და კაკოს კარადაში, საწოლის ქვეშ ეძებდა. ბოლოს დარწმუნდა, რომ კაკო მართლა იყო წასული საქეფოდ, „კიდევ შეუძლია მგ „ბებერმა“ ჭამოს და სვას“-ო, მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში და ვეებერთელა მხრებში თავარგულმა მწარედ ამოიხვნეშა: „მანაც მჯერა, მაგ ბებერმა „დევმა“, წამოდგა ფეხზე და მიძიმე ნაბიჯებით სახლისაკენ გაუდგა გზას.

დილის ექვსი საათი იქნებოდა, რომ ქორწილიდან დაბრუნებული კაკო დაგვადგა თავზე. „წამო, ვასო, ხაში ვჭამოთ“.

ასეთმა დიდმა „დატვირთვებმა“ ადრეულ ასაკში გატეხა ეს ორი დევივით ვაჟკაცი; 59 წლის ასაკში გარდაიცვალა კაკო კვანტალიანი შაქრიანი დიაბეტით, ასეთივე დიაბეტით დაიღუპა 66 წლის დოდო აბაშიძეც. ორივე ამ ასაკში შემოქმედებით ზენიტში იყვნენ.

ქართველმა სახლმა წრფელი ცრემლებით გააცილა ორი დიდი მსახიობი, ჩვენი დროის დიდი კომიკოსი კაკო კვანტალიანი და დიდი მსახიობი, გულმართალი მამული-შვილი დოდო აბაშიძე.

აცხრონის უფალმა მათი სულები. ამინ!

კვანტალიანი



„ლა-წირაკი“ დოდო აბაშიძე (ეტყობა ერთად რეკავდნენ ჩვენთან) ჭამასა და დაღვანობაში მიწვევს შეჯიბრში, მოგიგებო მეუბნება, არცერთს რესტორნის ფული არ გვაქვს, თუ ძმა ხარ, წამოდი ჩვენთან ერთად და დავგაბატივ რესტორანში, ნახავ რა დღეში ჩავგაგო ეს „ტურქურძემე-უმშრალი“-ო (დოდო კი ვეებერთელა, დევივით ვაჟკაცი იყო).

მამაჩემი - ვასო კვანტალიანი რესპუბლიკაში ცნობილი მშენებელი იყო, ერთ-ერთი დიდი სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსი, განათლებული, მჭკრემ-ტყველი, პოეზიისა და თეატრის ტრფიალი, ბრწყინვალე თამადა და მომღერალი (უკრავდა გიტარაზე, მანდოლინაზე, ბალალაიკაზე), იყო თავდადებული მეგობარი ჭირსა და ღმერთს, ყველასთვის ხელის გამმართავი და ყველას დამხმარე. ძმებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი (ოთხი ძმა და ერთი და იყვნენ, მამა ყველაზე უმცროსი იყო), დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ ერთმანეთს და ფაქიზად უფრთხილდებოდნენ იმ სათუთ მოძრაობას, რასაც დედამამიშვილი ჰქვია. მამასათვის კაკო - იდეალი იყო.

მამამ სიცილით შემომთავაზა გავყოლოდი მას და დავხმარებოდი მსაჯობაში ასეთ „პრესტიჟულ“ შეჯიბრებაზე. ვასო შეჯიბრების მონაწილეების მიერ ერთხმად იყო დანიშნული მთავარ არბიტრად (სხვა გზა არ ჰქონდათ, ვასო იყო პურმარლის გადახმდელი).

„წამოდი შეილო, მგონი ვიღუბები და ოჯახი შექცევა“, ეს ორი ვეშაპი - კაკო და დოდო პურ-მარლის „მანქანა“, მათი ჭამა-სმის ამბავი რომ ვიცო, ჯიბეში პურის ფულსაც არ დამიტოვებენ, შენ მაინც წამოდი და ცოტა დანაყარდი“. მე მამინ, მომქმედი სპორტსმენი ვიყავი, საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი და სულ წონის დაკლების პრობლემის წი-



ნაშე ვიყავი, მაცრად ვიცავდი დიეტას. მამაც ერთი უმცელი, თხელი, გამხდარი კაცი იყო. ასე რომ, არცერთისთვის ბევრი ჭამა-სმა არ იყო იდეალი, კაკოსა და დოდოსა-გან განსხვავებით - რა თქმა უნდა. რესტორან „რუსთავის“ შესასვლელთან, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ემბლე-მებით მკერდამშვენებული (რო-დის მოასწრეს ან რამ მოაფიქრათ თეთრ პერანგებზე ფლომასატური მათი მისატვა) ორი „დუელიანტი“ დაგვხვდა. მოწიწებით მიესალმნენ მთავარ არბიტრს მკერდზე ხელის

და დეიდან ახალი მეფე - მე ვიქნები“. „შეხვედი ამ ქარაქუცა იმერელს, რას ბაქიაობს, ჩავიდეთ სარდაფში და „მოედანზე“ შეხვედეთ, ვნახოთ, ვინ - ვის“ - ჩაიქიქილა კაკომ.

რესტორან „რუსთავის“ სარდა-ფში მომსახურე პერსონალმა იცნეს კაკო და დოდო და ღიმილით შე-უდგნენ ჩვენს მომსახურებას. ვასოს დანახვამ ხომ სულ მთლად გაახარა ისინი, რადგან ვასო მათი სწორი სტუმარი და კარგი გადა-ხმდელი იყო. დაგხვდით სუფრა-სთან, მე და ვასომ სწრაფად შე-ვიშუშავეთ „საშეჯიბრო“ დებულება, რაც შემდეგში გამოიხატებოდა:

„შეჯიბრების მონაწილეებს უფლება ეძლეოდათ სუფრაზე გა-წობილი კერძებიდან („ხაყუსა“ და სხვა) სურვილისამებრ მიეღოთ „ენ“ რაოდენობით რაც სურდათ, მა-გრამ მათთვის, მთავარი არბიტრის - ვასოს მიერ შეკვეთილი სპეცი-ალური კერძები, სავალდებულო პროგრამის მიხედვით პირწმინდად უნდა მოესუფთავებინათ - პურის მოსმით. თითოეულ მათგანს თანა-ბარი რაოდენობის (0,75 ლიტრი-ანი 15-15 ბოთლი) ღვინო დაეუ-დგით. იქვე იყო ბორჯომი, ლი-მონათი.

გონგის ხმამ (ვასომ ცარიელ ბოთლს ძლიერად დაჭრა მაგიდის დანა) მონაწილეები სწრაფად ჩა-იხვედნენ პაექრობაში. რამდენიმე წუ-თში პირწმინდად მოასუფთავეს თავიანთ ტაფებზე ოთ-ოთხი კაცისათ-ვის გამზადებული „ოსტრი სა-ლიანკა“, თან ღვინო ულამაზეს სადღეგრძელოებს იხახდნენ. რატო-მაც, ყოველი მეორე სადღე-გრძელო - მთავარ არბიტრს - ვასოს ეკუთვნოდა. აქებდნენ და ადიდებდნენ ვასოს, ცაში აპყავდათ, კაკო შეგადანიგ ჩუმად აპარებდა: „ასეთი ვაჟკაცი, როგორიც ვასოა, ჯერ არ დაბადებულა ქვეყანაზე, არც არის და... არცაა საჭიროო“... აქებდნენ იმიტომ, რომ ვასო იხდდა პურმარლის ფულს. ვასო ხვდებოდა, რომ „ამაყობდნენ“, მა-გრამ იხტიბარს არ იტუნდა, არ კარგავდა წონასწორობას და წა-რბმეკრული, მკაცრი, პირუთენელი გამოხედვით მიუდგომლად, ობი-ექტურად წარმართავდა ამ მეტად „პასუსსაგებ“ შეჯიბრებას, და ეშში შესული ყოველ წუთს უკვეთავდა ნაირ-ნაირ კერძებს, მოასარაზე-ები სულმოუთქმელად სასლაგდნენ ყველაფერს.

შეჯიბრების ორივე მონაწილე ბრწყინვალე „სპორტულ ფორმაში“ აღმოჩნდნენ, „მოედანზე“ ერთმა-ნეთს ტოლს არ უდებდნენ და მა-ღიანად შეექცეოდნენ გულუხვი არბიტრის - ვასოს მიერ შეკვე-თილ კერძებს. ორჯერ გაიმეორეს „შემეკრული“, შემდეგ მიაყოლეს კე-ცებში შემწვარი სოკო, არ ყოთ, ვასომ ბატკნის მწვადები მოატა-ნინა, - შთანთქეს, მოატანინა ლო-რის მწვადები - ისიც გააქრეს, ხბოს მწვადებსაც იგივე ზედი ეწვიოთ. მაგრამ „მსაჯებმა“ შევა-მჩნიეთ, რომ ასეთმა საშეჯიბრო დატვირთვამ და დაძაბულობამ

რაც მო-ასპარეხებმა მორჩილად შე-ასრულეს.

მე და მამაჩემმა შევაცყვეთ, რომ კაკოს და დოდოს უკვე გა-უჭირდათ, იმ შემართებით ვეღარ ჭამენ და სვამენ, უკვე თავს ძალ-აღს ატანენ, იხტიბარს არ იტე-ხენ, ოხუნჯობენ, ერთმანეთს და-სცინიან, მაგრამ ეს ყველაფერი დიდი ძალისხმევით ხდებოდა. ორი-ვემ ფერი დაკარგა, ოფლი „ღვა-რთქით“ ჩამოსდიოდათ ორივეს შუ-ბლსა და კისერზე, ვეღარ სუნთქა-ვენ თავისუფლად. ვასომ თვალი ჩამიკრა და ბოხი ხმით დაიძახა: „ფრე“. მონაწილეებმა პრესტიჟი-სათვის პროტესტი გაგვიცხადეს, არა და, ერთი სული ჰქონდათ, მიეტოვე-ბინათ სუფრა და სახლში წასული-ყვნენ.

„არა ბატო-ნებო, - დაიწყო ვასომ. - ჩვენ ვწყვეტთ შეჯიბრებას განა იმიტომ, რომ აღარ შეგიძლიათ „ბრძოლის“ გაგრძე-ლება, არამედ იმი-ტომ, რომ ჯიბეზე მეტი ფული არა მა-ქვსო“, ასე დიპლომატიურად გა-დაწყვიტა ვასომ ასეთი რთული პრობლემა და განმუხტა დაძაბუ-ლობა. გამარჯვების ნიშნად ორივე ხელი აუწია. ამ დროს დარბაზში ატყდა ტაშის ცემა, თურმე იქ მყოფ მოქიფიეებს გაეგოთ ამ ნი-ძღავის შესახებ და გაფაციცებით ელოდებოდნენ შედეგს.

მამამ „ოფიციალტს“ ფული გა-დაუხანდა, მაგრამ ის კაცი ადგი-ლიდან არ იძროდა, დაუინებით შეყურებდა სუფრას. „რა იყო კაკო, ვერ იანგარიშე სწორად? რა, ვალი მაქვს შენი?“ „არა ბა-ტონო, პირიქით მეტიცა გადამიხა-დეთ, იქით კუბუხი 30 კაცი ქე-



იფობს და ამდენი არც უსვიათ და არც უჭამათ, თქვენ ოთხმა კაცმა რამ შეგაჭამათ ამდენი? დე-რთმა შეგარგოთ!“

„არა ძმაო, ოთხმა კი არა, ორმა ქნა ეს ყველაფერი“, უთხრა ვასომ. ამის თქმა იყო, „უი“... დაიძახა ოფიციალტმა და ბუფეტი-სკენ გაეარდა.

რესტორნიდან გამოსულები იქ მყოფმა მოქიფიეებმა და მომსა-ხურე პერსონალმა გარეთ გამო-გვაცილა და მხურვალე ოვაციები გაგვიმართეს. „ჩემპიონებმა“ ღირსე-ულად ჩამოართვეს ხელი, გადაყო-

სსრკ-ის გაკვთილი



გიორგი ჩახანიძე

იქ სადაც შენებაა, არის სსრკ-ის სწორედ ეს ორი სიტყვა მიესადაგება 1999 წლის 8 მაისს, როდესაც მეფეთუნის საზოგადოებამ, რაიონის გამგეობასა და დეპარტამენტთან ერთად აღნიშნა სამამულო ომის გმირის ზოია რუსაძის ხსოვნა და სამამულო ომის გამარჯვების 54-ე წლისთავი. სსრკ-ის დღეს „არტოს ბაღში“ თავი მოიყარეს „არტოს ბაღში“ აღზრდილმა ომის ვეტერანებმა, ზოია რუსაძის თანამებრძოლებმა, დიდუბის რაიონის გამგეობამ, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, დიდუბის რაიონის ვეტერანთა საბჭოს წევრებმა და დავით აღმაშენებლის გამზირის ტრადიციათა აღორძინე-



ტატიანა სარამრიაკოვა

ბის საზოგადოებამ, ზოია რუსაძის ოჯახის წევრებმა. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა და ძვალ-რბილში გამჭოლი სიცივისა, დარბაზში ტყეა არ იყო. ეს დღე გადაიქცა სასიამოვნო შეხვედრისა და სიყვარულის დღედ. თურმე როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი, რამდენი სიტბოს ჩუქება შეგვძლება ერთმანეთისთვის. საზეიმო შეკრება გახსნა ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გურამ გვეტაძემ.



ინესა ანდოლავა

მარის პირველმა მოადგილემ ბატონმა გურამ გვეტაძემ. შესავალი სიტყვით გამოვიდა დიდუბის რაიონის გამგებელი გიორგი ჩახანიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ „არტოს ბაღი“ იქნება რაიონის კულტურ-

ის ცენტრი და მომავალში სწორედ აქ ჩატარდება ყველა ღონისძიება.

რა ძალა ჰქონია ამ პატარა გოგონას, თავისი სსრკ-ით თითქოს დღესაც მოგვიწოდებს სულიერი სიმტკიცისაკენ, სიყვარულისაკენ, ურთიერთგატანისაკენ. ნაწამები თითქოს იმქვეყნიდანაც სიყვარულით გვეფერება. ბევრი ცრემლი იღვრებოდა დარბაზში, როდესაც სცენაზე გამოვიდნენ ნაომარი ვეტერანი ქალები. ვერა ნინიკლაშვილი, რომელმაც საინტერესოდ მოგვითხრო ყირიმელი პარტიზანების ბრძოლის შესახებ. ემოციურად დატვირთული და დაუვიწყარი ეპიზოდები მოგვითხრო ზოია რუსაძის თანამებრძოლმა ქალბატონმა ტატიანა სერებრიაკოვამ. პათეტიკური გამოსვლა ჰქონდათ ბატონ დურმიშან მაღალაშვილს და ბატონ სამსონ აშმაძეს, რომელმაც ვრცლად გააშუქეს მოგონებები ქართველი პარტიზანების საგმირო საქმეებზე.

ამ დღისთვის დანგრეული ბაღი შეძლებისდაგვარად გასუფთავდა, დაირგა ნარგავები, ყვავილები და, რაც მთავარია, აღადგინეს ზოია რუსაძის დაზიანებული ძეგლი, სწორედ აქ, სულ ცოტა ხნის წინათ, დღეს ავ წარსულად მოხსენიებულ დროს, ხდებოდა საზეიმო ცერემონიული პიონერთა რიგებში მიღებისა, აქ ვდებდით ფიცს ვყოფილიყავით სანიმუშონი, გვესწავლა წარმატებით, საუკეთესოდ გვემრომა და სამაგალითო საქციელით გვესახელებინა სამშობლო. წარსულის მოგონებათა მოზღვავებულმა გრძობებმა ათქმევინა ინესა ანდოლავა თავეისი წრფელი მოგონებები. მას გვერდს უმშვენივრდნენ შვილი და შვილიშვილი, ერთი ოჯახის სამი თაობა, რომელმაც



გამოთქვა სურვილი ბაღის აღორძინების და გამშვენიერების, რომ როგორც ადრე, ახლაც დედებმა შეძლონ ბავშვები მოიყვანონ სუფთა ჰაერზე, მწვანე წალკოტში. სიტყვებით გამოვიდნენ დიდუბის რაიონის ვეტერანთა საბჭოს წევრი ბატონი აპოლონ ჩიჩხაშვილი, საკუთარი ლექსები წაგვიკითხა დავით აღმაშენებლის გამზირის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების წევრმა, არტოს ბაღში აღზრდილმა ვეტერანმა ბატონმა ანდრო ლლონტმა.

საინტერესო სიტყვით გამოვიდა დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გურამ გვეტაძე. პარკის მომავალი აღორძინების შესახებ ისაუბრა დავით აღმაშენებლის გამზირის ტრადიციათა აღორძინების საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა ვაჟა სალუქვაძემ.

დარბაზმა თბილად მიიღო ზოია რუსაძის ნათესავები, რომლებიც დღესაც „არტოს ბაღის“



ტატიანა სარამრიაკოვა, გურამ გვეტაძე, გიორგი ჩახანიძე, დურმიშან მაღალაშვილი



ზოია რუსაძის ნათესავები

Садик „Арто“

Много садов, и парков видел. Много прошел и изездил дорог. Видел красивый неповторимый, С фонтанами Петергоф. И все же мне дороже на свете, В Тбилиси на Плеханова садик Арто. В нем детство, и юность как в сказке, С моими друзьями прошло. В Арто, собирались, мальчишки, девчата, И веселились гурьбой. Хорошому в нем мы учились, И были довольны судьбой По кличкам мы звали друг-друга, Отбросив свои имена. Симон, тогда не был в моде. И мода другая была. Девченку - Мгеладзе, Волковой звали. Сипатом мы звали Кокая Авто. Сержку Попова глобусом звали. Сурена Бабяна просто Кинто. Плеханова улицу крепко любили, И дорожили садом Арто. Нам радостно было в нем находиться. Порой провести шатало. Со всех районов Тбилиси, В Арто приходила братва, И мы как плехановцы - коренные, Верх в нем держали всегда. В саду Арто на видном месте, Памятник партизанке - Зое Рухадзе стоит. Восьмого мая ее помнятли, Народ там пика достиг. Как много в тот день я встретил, Плехановских поседевших "ребят", С некоторыми в шоке учился, Пятьдесят лет тому назад. И многих мы недосчитали, На фронте погибших ребят И тех кто ушли из жизни мирно, На кладбищах тбилиских лежат. И все же прекрасна была встреча. Со слезами на наших глазах. Друг друга мы обнимали, Поминая ушедших ребят. Теперь Арто серьезно болен. Мы все же вылечим его. И будет он опять красивым Любимый с детства друг садик Арто.

АНДРО-ДДУ ГЛОНТИ. Май, 1999 г. Тбилиси.

ახლოს ცხოვრობენ. მათი სახელით მოგონებით გამოვიდა ზოია რუსაძის ძმის შვილი გურამ რუსაძე.

ცრემლნარევი იჯდა დარბაზში ხალხი. ცრემლი მწუხარების და ცრემლი ერთმანეთის მონატრების. ეს კი სუფთა და წმინდა ცრემლებია. შეხვედრის მეორე განყოფილება დაეთმოთ ბავშვებს. გამოვიდნენ ლექსებით, სიმღერებით. მათ ხელმძღვანელობდა ქალბატონი მზია მალიძე. დაუვიწყარი გამოსვლა ჰქონდათ ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის შემოქმედებითი კოლექტივის გამოცხადებას, რომელმაც წარმოგიდგინა ომის ცხოვრების ამსახველი მონტაჟი და შეასრულა ქართულ საკრავთა რამდენიმე მუსიკალური ნომერი.

გარეთ კი წვიმდა, გაზაფხულის შხაპუნა წვიმამ ხელი ვერ შეუშალა ღონისძიების ჩატარებას. პირიქით, გარეთ გამოსული ხალხი არ იშლებოდა, უფრო სწორედ ვერ იშლებოდა, წასვლის წინ კიდევ ერთხელ ჩაუვლიდნენ ზოია რუსაძის ძეგლს, გაჩერდებოდნენ მის წინ და თვალებით თითქოს ეუბნებოდნენ. „დღეს შენი, წამებული გოგონას, ზოიას მეორედ დაბადების დღეა. არ შეგეშინდეს, აღარ მიგატოვებ“.

ჩემს სახლთან პატარა ბაღი, „არტოს ბაღი“ მართლაც პატარაა ტერიტორიით, მაგრამ საკმაოდ საინტერესო წარსულის, კოსტა, კომპაქტური ბაღია, რომელსაც დიდი დატვირთვა ეკისრა, სადაც ბევრი სასიკეთო საქმეები კეთდებოდა. ბევრი გამოჩენილი ადამიანი აღიზარდა და ჩამოყალიბდა საუკეთესო მოქალაქედ, ამიტომ, იმედია, გალამაზე-



ინესა ანდოლავა

ბულ ბაღს დაუბრუნდება მისი შინაარსი, მისი ფუნქცია. დღეს კი ეს ყველა საჭიროებათა შორის პირველთაგანია.

პატარა ხარ „არტოს ბაღი“, მაგრამ ძალიან საჭირო, რადგან ქალაქის მშენებელ მარტო ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები არ არის მარტო. პარკების, ბაღების, ადამიანის ხელით შექმნილი დასასვენებელი ოაზისების გარეშე ქალაქს სიცარიელის ელფერი ეძლევა. ყოველ ბაღს თავისი მაჯისცემა და ცხოვრებისეული რიტმი გააჩნია. სწორედ აქ, ამ პატარა ბაღში ფეთქავდა თბილისის ინტელიგენციისა და ხელოვანთა შემოქმედებითი ცხოვრება. 1863 წელს თბილისში ჩამოგრძანდა გამოჩენილი რუსი მოღვაწე კომპოზიტორი მ. ბალაყირევი, რომელმაც ჩამოაყალიბა მსახიობთა საზოგადოებისათვის



ვაჟა სალტსხალავა

„Артистическое общество“ შემოკლებით „Арто“. აქ იმართებოდა დილის რეპეტიციები, რომლებსაც ბევრი ესწრებოდა და ამდენად სულ მალე გადაიზარდა დილა-სალამო კონცერტებში. აქ მღეროდნენ თ. შალიაპინი, ვ. სარაჯიშვილი. ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ ივანე და ჯაქარია ფალიაშვილები. აქ იდირიჟორა ლევანდარულმა მესტრომ ეგენი მიქელაძემ და ვინ ჩამოთვლის ერთ წერილში, თუ რამდენმა გამოჩენილმა შემოქმედმა მიიღო აქ ნათლობა და გავიდა ფართო შემოქმედებით გზაზე. ბევრი საინტერესო სტატია მიუძღვნა გზაზე „მეფეთუნისა“, მაგრამ გაშუქებულმა მასალამ ვერ ამოწურა და ამდენად ეს საკითხი



სამსონ ავშალავა

კვლავ შესწავლის სფეროა. პატარა ბაღია ჩვენი „არტოს ბაღი“, იგი ყოველთვის ერთგულ თბილ დედასავით იხუტებდა მასთან მისულ ბავშვებს, ამიტომ, ვანა გასაყვია ცრემლნარევი თვალები, აძგერებული გულები, ის ხალხმრავლობა უამინდობის მიუხედავად. მთავარი იყო ის, რომ ყველას სასწრაფო ერთნაირი გამოუმტყველებდა „კვლავ ერთად ვართ“ ჰქონდათ. ეს კი ცოტას არა ნი-



გიორგი სამარაშვილი

შნავს. დაუვიწყარი დღე 8 მაისი იქნება საწინდარი ბედნიერი მომავლის, დღე შენების, რაც უღვოდ საუკეთესო მომავლის მომასწავებელია. ხვალ კი წვიმა გადაიღებს.

ჩვენი სახლი, ჩვენი ქუჩა, ჩვენი სკოლა, ჩვენი უბანი, ჩვენი თბილისი

8 მაისს დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ძველი, ერთ დროს ცნობილი „არტოს ბაღში“, სამამულო ომის ვეტერანებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 54 წლისთავი იხივეს. აქ ეს ტრადიციის ადგილი, რამეთუ ამ ბაღში 1957 წლიდან სამამულო ომის გმირის, ცნობილი პარტიზანი ქალიშვილის ზოია რუსაძის ძეგლი დგას და გასარგებების დღეს აქ ომგადახდილები იხილებიან, რათა პატივი მიაგონ ზოია რუსაძისათვის სამშობლოსათვის შეტანილ შეწირულ მეომრებს, გასასწონ იმ დღეების საშინელი სურათები და თანამემამულეთაგან მოსმინონ მადლობის სიტყვები. ამ დღესაც ასე იყო. მიუხედავად წვიმისა, ბაღში შეიკრიბნენ ქალაქისა და დიდუბის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები. ამ უბანში მცხოვრები ცნობილი ხალხი, ბავშვები, რომლებმაც თავისი ლექსებითა და სიმღერებით დაამშვენეს ის დღე და ქაყოფილები დაბრუნდნენ სახლებში.

და აი, საღამოს ტელევიზიით „კავკასიის“ არხზე გადაცემა „პოსტ ფაქტუმ“-ზე ამ ღონისძიების ამსახველი სიუჟეტის კომენტარების დროს ჟურნალისტმა, ბებრი ჩვენი ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი, ვითომ ენამოსწრებული, სინამდვილეში კი გამაღიზიანებელი, ტლახი, სახუმარო ტონით, ძეგლის მიმართ შენიშვნა ისროლა, „თუმცა ზოია რუსაძე სულაც არ ჰგავდა თავის თავს რუსული ცხვირის გამო“. ის ჟურნალისტი, რომელსაც სიუჟეტის მომზადება ევალებოდა, ოდნავ მაინც მომზადებული მოსულყო, ჟურნალისტიკით მაინც რომ ცოდნოდა ზოია რუსაძის ბიოგრაფია და ერთი თვალთ მიანიც შეეხედა მისი ფოტოსათვის, თავს შეიკავებდა ასეთი ცინიკური ტონისაგან, რამეთუ არაფერია გასაკვირი, რომ დედით რუს ზოია რუსაძის რუსული ცხვირი ჰქონოდა. მაგრამ მთელი უხელოება ის არის, რომ ზოია რუსაძის ქანდაკებას ცხვირი მომტერყული აქვს, ხოლო ყელი ხერხებისაგან დაზიანებული.

ამ საგმირო საქმის ჩამდენი კი



24-ი საშუალო სკოლა არტოს ბაღში. დამრიბებელი ლია ბაჩიანიძე. 1978 წ.

თვის ზოია რუსაძის ქანდაკება სადმოლომ ნაშრომი იყო. სახელმწიფო კომისიაში, რომელიც ამ ნაშრომს აფასებდა, შედიოდნენ ქართული კულტურის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსი სერგო ქობულაძე, თაყაიშვილი და სხვები. მათ ერთხმად მისცეს უმაღლესი შეფასება ქანდაკებას, რომელიც სამხატვრო აკადემიის ოქროს ფონდში და კატალოგშია შეტანილი.

ძეგლის დადგმის ერთ-ერთი მოთავე იმ დროს კომპოზიტორის ცეკას მდივანი ბატონი გაფრინდაშვილი იყო, რომლის თაოსნობით ქანდაკება ლენინგრადში ბრინჯაოში ჩამოისხა და 1957 წ. არტოს ბაღში დაიდგა. ძეგლის გახსნას ზოია რუსაძის დედამა ესწრებოდა. დედა თვალცრემლიანი იდგა შვილის ქანდაკების წინ და ამბობდა: „ზუსტად ასეთი იყო ჩემი შვილი, ასეთი ჯიუტი გამოსხედა ჰქონდა და დე-



არტოს ბაღის შესასვლელი წარსულში

ლებენ ამას წარმატებით.


ქანდაკებებზე მონადირეთა საუბედუროდ, ზოია რუსაძე მაგრად დგას. მთელი წელი ამტვრის, მაგრამ ვერაფერი ვერ უყვებს, გარდა ცხვირისა. კვარცხლბეკიდან რამდენიმე მარმარილოს ფილა იყო ჩამოგდებული. 8 მაისისათვის კი მარმარილოს ფილები სასწრაფოდ აღადგინეს.

გესტაპოელებმა ვერ გატყვეს და ვერ ათქმევინეს, თუ ვინ იყვნენ ყირიმის იატაკქვეშეთის წევრები. ამიტომ აწამეს, თვალები ამოთხარეს, ტუჩის არე მოაჭრეს, ხელისა და ფეხის გულები ამოშანთეს. აი ასეთი ძლიერი იყო ზოია რუსაძე. ეს სიძლიერე ქანდაკებაშიც იგრძნობა. თითქოს ბედის ირონია, სიცოცხლეში გესტაპოელებმა აწამეს, ახლა ქანდაკებაზე მონადირე ქართველები არ აკლებენ 2-ჯერ ნაწამებ ქალიშვილს. მინდა ხმამაღლა ვივირო საქვეყნოდ, გვეოთ პარეა, ყაჩაღობა, როდემდე იქნება ასე?

ყოველივე შემოთქმულიდან გამომდინარე, უმორჩილესად ვთხოვ ქალაქის მერიას, კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს კონტროლზე აიყვანოთ ძეგლი, პასუხი მოსთხოვოთ პირებს, ვისაც ევალება ყურადღება მიექციოს ძეგლის უსაფრთხოებას.

პატივისცემით
მ. ლინერი-ბილანაშვილი

გულისსკივილით ნათქვამი



ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების, პარკების, ბაღებისა და სკვერების დაცვის შესახებ


საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. სასწრაფოდ აღიკვეთოს საქართველოს დასახლებულ პუნქტებში გამწვანების ზონების (მწვანე მასივები), პარკების (მათ შორის, კულტურის ძეგლთა კატეგორია), ბაღებისა და სკვერების ხელყოფა მათი საზღვრების ფარგლებში და მიმდებარე ტერიტორიებზე.
2. დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობა და ლანდშაფტის იერსახის შეცვლა საქართველოს იმ პარკებში, რომლებიც კულტურის ძეგლთა კატეგორიას განეკუთვნება.
3. საქართველოს პარკებში, ბაღებსა და სკვერებში, სადაც უკანონოდ აშენდა ან შენდება მათთვის შეუფერებელი ფუნქციის მქონე ნაგებობები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხდეს ამ ნაგებობათა დემონტაჟი. სხვა შემთხვევებში შეიცვალოს ამ ნაგებობების ფუნქცია პარკის, ბაღისა და სკვერის სასიკეთოდ.
4. მკაცრად დაისაოს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც გასცეს ბაღ-პარკების... (გამსაკუთრებით) — უფულტუნის... ძეგლთა კატეგორიის) ტერიტორიებზე ფართობების გამოყოფის ნებართვა მშენებლობებისა და სხვა მიზნით.
5. ქ. თბილისის მერმა ბ. შოშიტაიშვილმა მიიღოს გადაწყვეტილება ზომები და მდგომარეობის გამოსასწორებლად დ. აქალაქის გამწვანების ზონებში, პარკებში, ბაღებსა და სკვერებში სხვადასხვა მშენებლობებისა და ლანდშაფტის იერსახის შეცვლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები შეუსაბამოს ქ. თბილისის გენერალურ გეგმას.
6. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

თბილისი,
1998 წლის 17 ივლისი.

ზურაბ ჟვანია.



არტოს ბაღის შადრვანი წარსულში



არტოს ბაღის შადრვანი წარსულში



სამაგან მარცხენიდან: ი. ცერცვაძე, ნ. ლოლაშვილი, ნ. ბუნდია, ნ. ბარბაქაძე. II რიგი: ნ. კარლანიძე, ნ. ქულუხაძე, ნ. წიკლაძე, ლ. აფხიძე, ლ. თოფჩაძე, ნ. კაპაძე. 1956 წ.

გაქვეყნდა
საფრთხევად



დგანან მარცხენიდან მარჯვნივ: ნასარიმ ლეილა, თეიმურაზ იბრაიმი, ავთანდილ ბულია, სურგუტაძე მაკო. სამაგან მარცხენიდან: მიტროპოლიტი ვიქტორ, სარგისიძე ლეონი, ბიძინაძე ლიანა. მარჯვნივ: ხარბი ციკლა, სილაგაძე ნათია, ჭანჭიჭიძე ლეონი.



დინამოს ორი კაპიტანი: ბ. პაიჭაძე და ა. ლაშვილი

ტრიბუნები აგუგუნდა... მის შესწერებლად სემიჩასტნი მიიქარის, მაგრამ მასაც მოეცარა ხელი. ცრუ მოძრაობა და, სემიჩასტნი თავდაშხმელის ზურგსუკან მოექცა (სემიჩასტნი იმ პერიოდის ერთ-ერთი უძლიერესი მცველი გახლდათ), ახლა ჯერი ხომიჩზე მიდგა, მხოლოდ მას ძალუმს იხსნას საკუთარი კარი. გამოცდილ მეკარეს აღლო ლალატობს და გვერდით გაგორებული ბურთი ბადეში ეხვევა - 1:0. პაიჭაძემ ყველაფერი მისხლობით გამოთვალა. ისეთი დი-

ბორის პაიჭაძე - ფეხბურთის კარგოზო

დასახეული

დოსტატების მოტყუება, როგორებიც იყვნენ სემიჩასტნი და ხომიჩი - „ვეფხვი“, პლიუს კიდევ ორი მოთამაშე, მართლაც, მხოლოდ პაიჭაძეს შეეძლო. მოსკოვში, თავის მოედანზე, სსრ კავშირის თასზე თბილისელებმა კვლავ დაამარცხეს „დინამოელები“ და აქაც, მე-14-ე წუთზე პაიჭაძემ კვლავ მოატყუა სემიჩასტნი და ბლინკოვი, შემდეგ უძლიერესი დარტყმით პირველი გოლი გაიტანა ხომიჩის კარში. ამ პერიოდისათვის პაიჭაძის შეჩერება, უვნებლყოფა უკვე პრობლემად გადაიქცა ნებისმიერი გუნდისათვის. ნიკოლოზ ოზეროვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, დამსახურებული მსახიობი, სპორტული კომენტატორი: „მე ძალიან ვწუხვარ, რომ მაშინ არ იყო შესაძლებლობა მსოფლიოს

დიდ არენაზე ენახათ ამ ჯადოქრის ცეცხლოვანი თამაში, თორემ ახლანდელი ფეხბურთის ვარსკვლავთა სიაში უეჭველად პირველთა შორის დაასახელებდნენ“. სპორტის ასეთი მცოდნე და სპეციალისტი, როგორც ნიკოლოზ ოზეროვი იყო, ალბათ გადაუჭარბებლად და მიკერძოების გარეშე, ობიექტურად აფასებს ბორის პაიჭაძის ტალანტს.

1944 წელს ბორის პაიჭაძეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. ბორის პაიჭაძეს საკავშირო პირველობაზე გატანილი აქვს 106 გოლი. 1936 წლიდან 1951 წლამდე გამოდიოდა ფეხბურთის ეს ლეგენდა მინდორზე. აქედან 1941-45 წლებში სამამულო ომის გამო იძულებითი შესვენება რომ არა, ალბათ მის მიერ გატანილ გოლებს კიდევ დაემატებოდა ათეულობით გატანილი ბურთი. 32 წლის ასაკში, მუხლის მძიმე ტრავმისა და ორი გადატანილი უმედეგო ოპერაციის შემდეგ გამოეთხოვა დიდ ფეხბურთს, ქართული სპორტის ლეგენდა, ფეხბურთის ჯადოქარი - ბორის პაიჭაძე.



1946 წ. თბილისის „დინამოს“ სატადიონო. შეხვედრა მოსკოვის „სპარტაკთან“. ბ. პაიჭაძე (მარცხნივ) და ვ. სოლოვოვის ორთაბრძოლა.



ბ. პაიჭაძე და ა. ლაშვილი

და ბოლოს, რაოდენ სასიხარულოა „მეფეთუხენელებისათვის“ და სამაყო, რომ ფოთიდან-თბილისში გადმოსული ბორის პაიჭაძე 1933 წლიდან ცხოვრობდა ჩვენს უბანში და ამ უბნიდან წაიდა მისი სული სამუდამო სასუფეველში. ასეთი წინაპრის მქონე ქართულ ფეხბურთის სიკვდილი არ უწერია, კიდევ გაახარებენ ფეხბურთის გულშემატკივრებს ახალი პაიჭაძეები, ჯიჯი-ლაკები, ლოლობერიძეები, მესხი-მეტრეველები, იამანიძეები, ბარქაიები და სხვები.

სპორტის ოსტატი
ჯემალ კვანტალიანი

ოლივერ ბირჰოფი

ოლივერ ბირჰოფი გერმანიის ნაურბის კაპიტანი და საუკეთესო თავდამსხმელია. მისი სიმაღლეა 1 მ 91 სმ. 30 წლის. მან თავისი კარიერა „ბაიერ-უერდინგენში“ დაიწყო. არც ისე წარმატებულად. I სეზონში: 19 თამაში - 3 გოლი, II სეზონში - 12 თამაში 1 გოლი, შემდეგ ბირჰოფმა ითამაშა „ჰამბურგში“, „ბორუსია მნს. გლადბახში“ და „ზალცბურგში“. ბოლოს იგი იტალიაში მიიწვიეს სათამაშოდ. კერძოდ, „ასკოლი“-ში, იქ 4 სეზონი ითამაშა და 60 გოლი გაიტანა. შემდეგ უფრო განთქმულ გუნდში „უდინეზე“-ში გადაბარგდა. 1997-98 წლებში იგი იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 27 გოლით, ხოლო შემდეგ „უდინეზე“-ს მწვრთნელი ალბერტო მაკრონი „მილანი“-ს მწვრთნელად დანიშნეს. მან კი მისი ყოფილი კლუბიდან ოლივერ ბირჰოფი და თომას ჰელვეგი წაიყვანა იტალიაში. ბირჰოფმა საუკეთესო წლები გაატარა „უდინეზე“-ში. ოლივერ ბირჰოფი 1996 წლის ევროპის ჩემპიონია. მან ფინალურ მატჩში ჩხუბის ნაურბთან გერმანიის ნაურბი ევროპის ჩემპიონი გახდა. მისმა ორმა გატანილმა გოლმა გადაწყვიტა თამაშის ბედი.



სპორტის დამსახურებული ოსტატი



სპორტის დამსახურებული ოსტატი

იენს იეხემისი



იენს იეხემისი

იენს იეხემისი ახალგაზრდა ნახევარმცველია. იგი გერმანიის ნაურბის იმედია. მას ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში. სახელი კი „მიუნხენ-1860“-ში გაითქვა. შემდეგ გერმანიის ნაურბის მწვრთნელმა ბერტი ფოგოსტმა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად წაიყვანა. მან ძალიან კარგად ითამაშა და სიმბოლურ ნაურბშიც შევიდა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იგი გადავიდა მიუნხენურ კლუბში „მიუნხენის ბაიერში“ და დაიკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. იენს იეხემისი დღემდე იცავს გერმანიის ნაურბის ღირსებას.

იონა

იგი დაიბადა ბენტო რობერი-ოში. 1976 წლის 22 სექტემბერს. სიმაღლე 1 მ 80 სმ, წონა 75 კგ.

14 წლის ასაკში იგი უკვე თამაშობდა „საო კრისტობალი“-ში, რომელიც ჟაიროზინოს მიერ იყო დაარსებული. მან დაინახა რონალდოს ტალანტი, მიმართა „ფლამენგოს“ და „ვასკო და გამას“. თავიანთ შემადგენლობაში აყვანათ, მაგრამ მათ უარი განაცხადეს, მაგრამ იგი „კრუსეიროში“ აღმოჩნდა. რონალდომ 60 თამაშში 58 გოლი გაიტანა. 17 წლის ასაკში იგი მიიწვიეს ბრაზილიის ეროვნულ ნაურბში. 1994 წლის ჩემპიონატის შემდეგ მას ეპატივება „მილანი“ და „ეინდჰოვენი“. რომარიოს რჩევით „ეინდჰოვენი“ გადავიდა. პირველივე სეზონში მან 35 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. სეზონის ბოლოს რონალდომ „ეინდჰოვენი“ მიატოვა და „ბარსელონაში“ გადავიდა. იმ წელს იგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. შემდეგ ცნობილი ფეხბურთელი „ინტერში“ გადავიდა სათამაშოდ, სადაც 26 გოლი გაიტანა.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რონალდო ძალიან პასიურად გამოიყურებოდა. მართალია, მან ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ ამან არაფერი შეცვალა. საუკეთესო ფეხბურთელის წოდება რონალდოს ზიდანმა წაართვა.

ლუკან სალუშაპე, მე-8 კლასის მოსწავლე



უინსტონი - ნოკაუტი

უინსტონი გაიცი - ფეხი

დღეს ამ მატჩს, რომელიც 12 რაუნდი უნდა გაგრძელებულიყო. ყველას სურდა დიდხანს ეცქირა თავისი კერპის - ჯეკ შერკის ოსტატობისათვის, რომელიც დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა რინგს. მატჩზე დასწრებისათვის შესასვლელი ბილეთების ფასი საგრძნობლად მაღალი იყო. პირველი რაუნდის მეორე ნახევარში, აკრძალული ილეთების გამოყენების გამო მსაჯმა დისკვალიფიკაცია მისცა უინსტონს და მოხსნა შეჯიბრებიდან.

დარბაზი ახმაურდა, ატყდა სტვენა. მაყურებელი არ იძუროდა ადგილიდან, ბრძოლის გაგრძელებას ითხოვდნენ. მატჩის ორგანიზატორები დაიბნენ, შუშინებულეებმა არ იცოდნენ რა მოემოქმედათ. შეიკრიბნენ რინგთან და დაიწყეს მოლაპარაკება მსაჯებთან. აუცილებელი იყო მატჩის გაგრძელება, თორემ მაყურებელს დაკარგავდნენ, ადარდაესწრებოდნენ მოკრივეთა მატჩებს,

რაც შემოსავალზე ძალზე იმოქმედებდა. მოილაპარაკეს და კრივის წესების დარღვევით შეცვალეს მსაჯების გადაწყვეტილება. ბრძოლა განახლდა. კრივის დიდოსტატმა შერკემ ელვისებური შეტევა განახორციელა და რამდენიმე წამში უინსტონი უგონოდ დაეცა იატაკზე. აქ უკვე ვერაფრით დაეხმარებოდნენ მსაჯები უინსტონს, იგი ღრმა ნოკაუტში აღმოჩნდა და ბრძოლას 12 რაუნდამდე ვერაფრით გააგრძელებდა.

გაწილებული მაყურებელი უხალისოდ ტოვებდა დარბაზს. სამაგიეროდ, ექიმების წყალობით გონზე მოსულ უინსტონს ორი მილიონი დოლარი გადასცეს მატჩში მონაწილეობისათვის. ალბათ, ამისთვის კი ღირდა ნოკაუტი და ტენისის შერყევაც. მთავარი მაინც - ფულია!..



თამაშების არაფილიანი

დოდო აბაშიძე პოლონეთში ყოფილა სტუმრად. ვიღაც უცნობს დაურეკია და უკითხია, - ქართველი ხართ? დიახო, - მიუგია დოდოს.
- რა კარგია, - მოისმა თურმე გახარებული ხმა, - მე და ჩემი მეგობრები რამდენიმე წლის წინ საქართველოში ვიყავით სამეცნიერო კონფერენციაზე. გაცივანით თქვენი კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, ადათ-წესები. აღფრთოვანებული დავრჩით, თქვენებურმა სტუმარ-მასპინძლობამ ყველაფერს გადააჭარბა. ახლა გუგუსს, ჩვენ გიმასპინძლოთ, მობრძანდით თქვენს მეგობრებთან

ერთად რესტორანში.
დოდო ასეთ წინადადებაზე უარს როგორ იტყოდა და შეხვდა მასპინძლებს.
პოლონელი მასპინძელი ეუბნება დოდოს:
- სხვათა შორის, საქართველოში თქვენი თამაშების პრეზიდენტი გაცივანით.
- ვინ? - ჩაეძა დოდო.
- კონსტანტინე ჩოლოყაშვილი.
- რას ამბობთ?! მე ვარ საქართველოს თამაშების პრეზიდენტი! - აღმოუთქა დოდო.
- კარგი, აბა, ითამაშეთ!
თავი მოვიკალი, ისე ვითამაშე, მაგრამ ბოლოს ასე მითხრეს მასპინძლებმა: - კარგი თამადა ხართ, მაგრამ კონსტანტინე ჩოლოყაშვილი მინც პრეზიდენტი! - ამბობდა დოდო.
კაცი კვანტალიანთან „დამარცხების“ შემდეგ, დოდომ „საქართველოს პრეზიდენტობაც“ დათმო უცხოელი „ექსპერტების“ დასვენით თამაშობაშიც. რას იზამთ, ძალა აღმართს ხნავსო.
(დოდო აბაშიძის ანთროპოლოგიის)

საინტერესო ამბები

გაღმართული ვარი!
ვლადიმერ მაიაკოვსკი უცხოეთში ლექციას კითხულობდა ახლადშექმნილი საბჭოთა კავშირის კულტურასა და ლიტერატურაზე. პოლიტიკაზე, დარბაზში მყოფმა განაწილებულმა რუსმა ემიგრანტმა პოეტს მისთვის უცნობ უცხო ენაზე შეკითხვა დაუსვა - სურდა, დაეხმია და აუდიტორიის წინაშე შეერცხვინა. მაიაკოვსკი წამითაც არ შეყოვნებულა და პასუხი უძალ ვასცა... ქართულ ენაზე.
- კაცო, ქართველი ხარ? - შეეხმინა ვიღაც დარბაზიდან.
- ბაღდათელი ვარ, ბაღდათელი!
- ქართულად მიუგო გახარებულმა პოეტმა.
ცხოვრების წესი
აბრაამ ლინკოლნი ერთი ვინმე ტესტონის აბაგებდა, მაგრამ როცა პრეზიდენტად აირჩიეს, სამხედრო მინისტრად სწორედ ის მოძულე დანიშნა.
თანამებრძოლები აღმოუთქნენ, - ეტყობა, არ იცით, ტესტონი რასაც სჩადისო.
ყველაფერი ვიცი, მაგრამ ამერიკელთაგან ყველაზე მეტად ის შეეფერება ამ თანამებრძობასო, - ამჟღავნებდა ლინკოლნი მათ. მართლაც, ტესტონი საუკეთესო მინისტრი და პრეზიდენტიც ერთგული გახდა. და ქვეყანას დიდი სამსახური გაუწია. როცა ლინკოლნი მოკლეს, ბე

ერი ბრწყინვალე სიტყვა ითქვა, მაგრამ ტესტონის გამოსათხოვარი განსაკუთრებული იყო. იგი იღვა იმ ადამიანის ცხედრის წინაშე, რომელიც ოდესღაც სძულდა და მწუხარებით თავი დაეხარა.
ლინკოლნი დედამისაზე უდიდესი ადამიანი იყო. იგი ახლა მარადისობას ეკუთვნის, - თქვა ტესტონმა.
განა რას მოიგებდა ამერიკა, ისინი რომ მტრებად დარჩენილყვენ?
სიყვარული იყო ლინკოლნის ცხოვრების წესი.
მე იმით ვსაზო მტრებს, რომ ჩემს მეგობრებად გადააქცევი, - ამბობდა ხოლმე პრეზიდენტი.

ჯანმრთელობაზე თქმული

* გულის სიმრთელეს გულგატეხილობით ვერ ეღივებო.
* ჯანმრთელობას ჰკითხეს - ყველაზე მეტად როდის გაფასებენო, და - როცა დამკარგავენო.
* დიაგნოზმა დაასვენა - ავადმყოფობას ხან ვარჩენ და ხან ვაჩენო.
* ავად მყოფობაც ავადმყოფობააო.
* ორგანიზმმა დაასვენა - დაწვანებული, მკვადს უფრო შევირგებ ხოლმე, ვიდრე აღელვებული - მწვადსაო.
* ჯანმა წაუღივინა: გენაცვალე ნუნუავ, მწვადო მავალისაო, შარი ღმერთმა მაშოროს აყალმავალისაო.
* ჯანი გულზე უნდა გეკიდოს, განა... ფეხებზეო.
* ჯანმა თქვა - ჩემმა პატრონმა დასვენება არ მაღირსა, სანამ გასვენებით არ დავეშუქრო.
* ჯანმრთელობას ჰკითხეს - ინტიმურ ცხოვრებაზე რას გვეტყვიო, და - კეკებისა რა იყოს, არც ძალზე შიმშილი ვარგა და არც ძალზე ღორბუცელობაო.
* სიცილი სიკვდილის პაქტორიებს ხოცავს, ტირილი - სიციცხლისასაო.
* ბუნებამ შეუტია კაცს - მე შენი მკურნალი ვიყავ და თავად რად გამხადე სამკურნალოო?!
* ჯანმა ჩაუნაცვსა - პურმარილი მაღაღებს, შაქარმარილი მაკვნესებსო.
* თაფლს ჰკითხეს - სხვანაირად რა გეწოდება, და - წამალთწამალიო.
* ჭამა-სმის უზომოდ მოტრფილზე თქვეს - ტანმძიმეა და თავმსუბუქიო.
* ჯანის გადარბებით გამდიდრებული ჭკუითაც ღარიბაიო.
* დაქუცმაცებული საწამლავე წამალია, გამრავლებული წამალი - საწამლავეო.
* უძრაობა რომ ჯანს მატებდეს, ყველაზე ჯანმრთელი პატიმარი იქნებოდაო.
* ჯანმა ბრძანა - სანამ საქმეს შეუდგებოდე, სიმშვიდე მოიმარაგეო.
* გიყვარს მოყვასი, ნიშნავს, გიყვარს საკუთარი თავი, რამეთუ სიყვარული სიამოვნებაა, სიამოვნება კი - ჯანიაო.
* ნიორს ყიდულობდა და - ჯანი ამიწონეო.
* ჯანმა დაინივლა - ჩემი პატრონისათვის მე ფანდური არ დავიშურე და იმან ჩემთვის - პანდურიო.
* ჯანმრთელობას, მეუღლისა არ იყოს, თუ უკლი და ეფერები, სიკვდილამდე ჩახუტებული გეყოლებათო.
* გამოფითულმა მამულმა და ორგანიზმმა იცის დაკნინებული შედეგო.
* ერთხელ დანაყრება - დღის ბოლომდეო, ერთხელ გაბრახება - თვის ბოლომდეო.
* ჯანმა შეუტია პატრონს - შენთან ვიყავ, არ მიმშვნიე და ახლა ზღვასა და კურორტებზე დამეძებო?!
* ჯანის უებარი და მუქითი წამალი ღიღინ-სიმღერა და სიცილ-კისკისაო.
* ჯიბის უზომო სიმუნწემ იცის, ჯანის უზომო სიმუნწეო.
* ჯანმა შეუტია ლოთს - მიწასთან ნუ მასწორებ შემიწისქვეშ გასასწორებელიო.
* ზღვაში გადაგდებულ აბაზიანს უფრო იოლად იბოვნი, ვიდრე დაკარგულ ჯანმრთელობასაო.
* უძრაობა და უქნარობა საფლავეში ყოფნის რეცეპტიაო.
* სიკვდილს ჰკითხეს - ამდენი ხალხის ხოცვას როგორ ახდებარ, და - თვითონაც მეხმარებიანო.
პასტანგ ჯანმრთელობი

იუმორი

ახალგაზრდა კაცი ტყეში მისურნობს. უცებ თოფიანი დედაბერი გადმოუხტა ბუჩქებიდან.
- ხელები მაღლა! შე გათახსირებულო, ჩემი გაუპატიურება გინდოდა, არა?..
- რას ამბობ, ბებო, ღმერთი, რჯული, არც მიფიქრია!..
- არ გიფიქრია, არა! ახლა გაფიქრებინებ და მინც მოგიწევს!..

ცოლი:
- უცხო კაცთან რომ წავიდე და გავყვე ცოლად, დაგენანება?
- უცხო კაცი რატომ უნდა დამენანოს?

ცოლი ქმარს:
- ყველაზე მეტად რა მოგწონს ჩემში, - მშვენიერი სახე თუ უნაკლო სხეული?
- იუმორის გრძობა...


კახელი ქალი ტყეში ათმა მამაკაცმა გაუპატიურა. ქალი კენესავაებითა და ქეთინით შეიჭრა პოლიციამში:
- გვედრებით, როგორმე დამეხმარეთ...
- ნუ ღელავთ, ქალბატონო, ყველას ვიპოვნი! - დაამშვიდა პოლიციის შეფმა.
- მე სულაც არ მჭირდება ყველას მოყვანა! გვედრებით მესამე და მეოთხე მომიძებნეთ და მომიყვანეთ! უუჰჰ... გენაცვალე...

დილის საუზმის დროს ქმარი, როგორც ყოველთვის, გახეთის კითხვაში ჩაეფლო. ცოლმა ყავა მიართვა. პირველი ყლუპის შემდეგ ქმარმა იყვირა:
- რა არის, ქალო, ხომ იცი, შაქრიანი ყავა არ მიყვარს!
- ვიცი ძვირფასო, მაგრამ ძალიან მსურდა ამ დილით შენი ხმის გაგონება...

ახალგაზრდა კაცს მეგობარი ეკითხება:
- ჯვარანაწერ ბეჭედს რატომ არ იყვებ ხელზე?
- ყელში მიჭერს!

ქალმა მეგობარს შესწივლა:
- ჩემი ქმარი ამ ბოლო დროს ძალიან დაბნეული გახდა, თავის ნიუთებს ადგილზე არ დებს.
- რაზე ატყობ?
- გუშინ მის საფულეს მთელი საათი ვეძებდი.

- ძვირფასო, გიყვარვარ?
- ძალიან.
- როგორც ადამს ევა?
- უფრო მეტად.
- და, განა ეს შესაძლებელია?
- რა თქმა უნდა, ადამს ზომს სხვა არჩევანი არ ჰქონია?



- რამხელა პალტო გიყვინდა, ქალო! რა, ჩემი ზომა არ იცოდი? - როგორ არ ვიცი, მაგრამ არ მინდოდა გამყიდველს გაეგო, რა ქონდრის კაცს გავყვევი ცოლად.



- ბოდიში შეილო, რაიმე ბუკლეტი ან რჩევების წიგნი ხომ არა გაქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს პენსიონერმა თვეში 15 ლარით?!..
მხატვარი ჯემალ კვანტალიანი.

საბურთაპო
№6(18)
ყოველთვიური

გაზეთი დაიბეჭდა გამოცემლობა
საქციო საზოგადოება
"კეპელი"
გამოდის
საზოგადოებრივ საწყისზე

რედაქცია პასუხს არ
აგებს გამოქვეყნებული
მასალების შინაარსზე.
ავტორები თავად აგუ-
ბენ პასუხს ფაქტების,
ციფრებისა თუ ციტატების
სიზუსტეზე

დამფუძნებელი: ვაჟა სალუქვაძე - საზოგადოებისა და
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, გამოცემული.
საბჭოს წევრები: ჭაბუა ამირეჯიბი, ნანული ბარათაშვილი,
გურამ გვეტაძე, ვანო ზაზაშვილი, ნოდარ ზეველაშვილი,
ჯემალ კვანტალიანი, ჯემალ მიქელაძე, ილია ტაბაღუა,
მისიელ ქვიციანი.
სტილისტ-კორექტორი: დონარა ბერიძე

მოამზადე და გამოუმეა
რედაქტორმა ვაჟა
სალუქვაძემ. თბილისი
380064,
მისიელ
წინამძღვრის მიხედვით
ქუჩა, №114.
ტელ.: 95-45-90.